ლაღამის ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება

(მესტიის მუნიციპალიტეტი)

თბილისი

2012 წელი

ლაღამის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიის მოხატულობები

სოფელ ლაღამის მაცხოვრის ეკლესია მთელს ზემო სვანეთში გამორჩეულია როგორც არქიტექტურული, ისე ფრესკული მხატვრობის თვალსაზრისით. ესაა ორსართულიანი, კრიპტიანი ეკლესია, რომლიც მოხატულია რამდენიმეჯერ – XI-XV სს-ში. ქვედა ეკლესიაში ფრაგმენტულადაა შემორჩენილია XI-XII სს-ის ფენები, ზედაში – პალეოლოგოსთა პერიოდის მხატვრობის სრული ციკლი, ფასადებზე კი – XIV-XV სს-ის ფრესკული გამოსახულებები. გარდა იმისა, რომ ამ ეკლესიაში თავმოყრილია სხვადასხვა პერიოდების, განსხვავებული სტილის მოხატულობები, მასში დაცულია აგრეთვე ისტორიულ პირთა, ადგილობრივ აზნაურთა – ქირქიშლიანების – საერო პორტრეტები. ფრესაკების რეპერტუარი ძალზე მრავალფეროვანია. იგი შეიცავს ძველი და ახალი აღთქმის სცენებს, წმინდანთა გამოსახულებებს და "სამების" ძალზე იშვიათ იკონოგრაფიულ სქემას – განაწილებულს ზედა ეკლესიის კამარაში (ისეთივეს, როგორიც გვხვდება უბისის ტაძარში).

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი *ნანა ბურჭულაძე*

შესავალი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტო"–მ გამოაცხადა კონკურსი ლაღამის (მესტიის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების შესყიდვაზე.

ამასთან დაკავშირებით ააიპ კავშირი „ძველი საქართველო"–ს რესტავრატორებმა მოვაწყეთ ოთხ დღიანი (08.03.2012 – 11.03.2012) ექსპედიცია სვანეთში. ექსპედიციის შემადგენლობა: მხატვარ–რესტავრატორები – **დავით გაგოშიძე, რეზო ხოჯელანი, ვახტანგ ჯანაშია, გიორგი გაგოშიძე** და არქიტექტორ-რესტავრატორი – **თენგიზ გაბუნია**.

ექსპედიციის მიზანი:

- მოხატულობის არსებული მდგომარეობის შეფასება, დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია.
- მოხატულობის ფოტოფიქსაცია (სხვადასხვა დაზიანებების სახეობების);
- მოხატულობაზე ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის შემუშავება და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოსაფხვრელად;
- წინასაპროექტო სამუშაოების წარმოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ძეგლის ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება.

ადრე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოები

პირველად მოხატულობას საკონსერვაციო სამუსაოები ჩაუტარდა 1983 წელს. გამაგრდა ქიმები და მხატვრობა გაიწმინდა ზედაპირულად.

მეორედ საკონსერვაციო სამუშაოები 2001 წელს ჩატარდა. ეკლესია გადაიხურა, კონსერვაცია ჩაუტარდა მხატვრობას, როგორც ინტერიერისას ასევე ფასადისას.

2001 წელს, XII და XIV საუკუნეების მოხატულობები გაიწმინდა ჭვარტლისაგან ამონიუმის კარბონატით. ინტერიერისა და ფასადის მხატვრობებს გაუმაგრდათ ქიმები და შეივსო ბათქაშში ამომტვრეული ადგილები კირ–ქვიშის ნაზავით. მოხდა საღებავის ფენის გამაგრება.

მოხატულობის დღეს არსებული მდგომარეობა

XIV ს–ს მოხატულობა კარგ მდგომარეობაშია. ვიზუალური დაკვირვების შედეგად ვერ აღმოვაჩინეთ ვერც საღებავის ფენის დაზიანება, ვერც კედელს მოცილებული ბათქაში და ვერც ადრეული კონსერვაციის დროს გაკეთებული ქიმების დაზიანება (**ფოტო 4,5,6,7,8,9**. ერთადერთი რაც თვალში საცემია 2001 წლის კონსერვაციის დროს ნიმუშად დატოვებული დიდი ზომის გაუწმენდავი კვადრატებია (**ფოტო 1,2,3**).

კედლების ტენიანიბა ნორმის ფარგლებშია. უნდა აღინიშნოს რომ ჩრდილოეთის კედლის ტენიანობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ნაკლებია სხვა კედლების ტენიანობაზე. ეს იმის დამსახურება უნდა იყოს, რომ ეკლესიას ჩრდილოეთის მხრიდან ქვედა ეკლესიაში ჩასასვლელი აქვს, რომელიც 2001 წლის სამუშაოების დროს საფუძვლიანად გადაიხურა, ასევე ჩრდილოეთის მხარეს ფასადური მხატვრობაა და ისიც ძლიერ გამოწეული სახურავითაა დაცული და ამდენად ამ მხარეს, როგორს კედელი, ასევე ეკლესიის საძირკველი, დაცულია ყოველგვარი ატმოსფერული ზემოქმედებისაგან (**ფოტო 10**). ეკლესიაში ბიოლოგიური დაზიანება ვიზუალურად არ შეიმჩნევა.

ფასადური მხატვრობები კარგ მდგომარეობაში ჩანს (**ფოტო 11**). ეს მხატვრობები, რომლებიც აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზეა განთავსებული, კარგადაა დაცული 2001 წლის სამუშაოების დროს გაკეთებული ძლიერ გადმოწეული სახურავით (**ფოტო 10**).

ჩვენის აზრით, სახურავის ასეთი გადახურვის შედეგია დღეისთვის მთელი მოხატულობის ასეთი კარგი მდგომარეობა და ეკლესიის სიმშრალე.

ქვედა ეკლესიაში ორი ფენის მოხატულობაა. ზედა მოხატულობა ძლიერაა განადგურებული, როგორც ჩანს ხანძრის შედეგად. საღებავის ფენა ფაქტიურად სულ დამწვარია, თუმცა რა სახითაცაა მოხატულობა დღეს შემორჩენილი, ის მაგრადაა (**ფოტო 12,13,14,15**).

ქვედა ეკლესიაში გამაგრებული ქიმები და ბათქაშში ამოგლეჯილი ადგილებიც კარგ და მყარ მდგომარეობაშია (**ფოტო 12,13,14,15,16,17**). ასევე საღებავის ფენაც არ საჭიროებს გამაგრებას.

ერთადერთი რაც გასაკეთებელია, ესაა ქვედა ფენის მხატვრობის ინექტირება. იგი მთლიანადაა კედელს მოცილებილი და ერთ ადგილას ოდნავ შენგრეულიცაა **(ფოტო 16)**. ეკლესია მომქმედია და ძალიან პატარა ზომისაა. ქვედა ფენის შელესილობა ადამიანის სიმაღლეზეა და ძალიან ადვილია მისი უცაბედი შენგრევა, მაგალითად წირვა–ლოცვის დროს. ჩვენის აზრით ის პატარა შენგრეული ადგილი ზუსტად ამის შედეგია.

არქიტექტურის მდგომარეობა

ლაღამის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია სოფლის ცენტრში დგას . იგი ორსართულიანია. პირველი სართული VIII- IX საუკუმნეებშია აგებული და მცირე სამლოცველოს წარმოადგენდა. შემდგომ XIII საუკუნეში მეორე სართული დაუშენებიათ **(ფოტო 18,19,20)**. მშენებლობის მესამე ეტაპი კი დასავლეთ მინაშენია**(ფოტო 21,22)**.

პირველი სართული ნაშენია ნატეხი კლდის და რიყის ქვებით,მეორე დაშენებული ეკლესია კი შირიმის კარგად ნათალი კვადრებით, მინაშენში კი ძირითადად გამოყენებულია ნატეხიკლდის ქვა, თუმცა კონსტრუქციული ნაწილები (სვეტები, თაღები) გამოთლილია შირიმის ქვაში.

ეკლესიის ორივე სართული მყარად დგას, არ შეიმჩნევა ბზარები და დეფორმაციები. რასაც ვერანაირად ვერ ვიტყვით მინაშენზე., რომლის ორივე სართული მძიმე მდგომარეობაშია, მეორე სართულზე 1970-80 წლებში გაუკეთეს სრულიად გაუგებარი რკ.ბეტონის სარტყელი, რომელიც პირიქით, ზედმეტი დატვირთვაა დაბზარულ კედლებზე. კედლებს მოშორებული და დეფორმირებულია პირველი სართულის თაღები.

აუცილებელია: პირველ ეტაპზე: ძეგლის არქიტექტურულ-კონსტრუქციული სრულყოფილი კვლევა. (შურფები და ზონდაჟები) რის შემდეგაც მეორე ეტაპზე უნდა მოხდეს დეტალური აზომვა და შედგეს რეაბილიტაციის სათანადო პროექტი (მუშა ნახაზებით)

არქ. რესტავრატორი თ. გაბუნია

1. **დაზიანებების იდენტიფიკაცია და გამომწვევი მიზეზები**

როგორც ვიზუალური დათვალიერების შედეგად გაირკვა მოხატულობა კარგ მდგომარეობაშია, ანუ მხატვრობების მდგომარეობა არ არის გაუარესებული 2001 წლის საკონსერვაციო სამუშაოებიდან დღემდე.

მხატვრობის ის დაზიანება, რომელიც პირველი სართულის ქვედა ფენის მოხატულობაზე ვნახეთ, კერძოდ ბათქაშსა და კედელს შორის სიცარიელე და ამდენად მოხატულობის უცაბედი, მექანიკური ზემოქმედების შედეგად შენგრევის საშიშროება, 2001 წლის საკონსერვაციო სამუშაოების დროსაც ისეთივე იყო, როგორც დღეს, ანუ პროგრესირება არ განუცდია, უბრალოდ, რატომღაც, მაშინ ბათქაშის ინექტირება არ მომხდარა.

2. **მხატვრობის საკონსერვაციო მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რეკომენდაციები დაზიანებების აღმოსაფხვრელად**

ამგვარად სახეზე გვაქვს ორი სახის საკონსერვაციო სამუშაო: ქვედა ფენის მხატვრობის ბათქაშის ინექტირება და 2001 წელს საკონსერვაციო სამუშაოების დროს დატოვებული გაუწმენდავი კვადრატები.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ სართულზე კვლევის შედეგად რომც აღმოჩნდეს, რომ ზედა ფენის მოხატულობის ბათქაში მოცილებულია კედელს, ინექტირება მაინს არაფრით არ შეიძლება, რადგან როგორცა სჩანს, ქვედა ფენის მხატვრობა ზედა ფენის მხატვრობის ქვეშ საკმაოდ დიდი რაოდენობითაა. ამდენად ზედა ფენის ინექტირების შემთხვევაში საინექციო მასა მოხვდება ქვედა და ზედა ფენის მხატვრობებს შორის და დაედება ქვედა ფენის მხატვრობის ზედაპირს. ამ შემთხვევაში უნდა შემოვიფარგლოდ ზედა ფენის ბათქაშის მხოლოდ ქიმების გამაგრებით, რაც უკვე 2001 წლის სამუშაოების დროს არის გაკეთებული და კარგ მდგომარეობაშია.

ქვედა ფენის ბათქაშის ინექტირება აუცილებელია. ინექტირება უნდა მოხდეს გამაგრებული ქიმებიდან ძალიან ნელა, ბათქაშის გადმონგრევის ან ქიმების კედლიდან მოწყვეტის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელია შემამსუბუქებლების გამოენება. ინექტირება აუცილებელია მხატვრობის ქვედა ნაწილებში, თუმცა სასურველია ზემოთაც, სადაც ქვედა ფენა ზედა ფენაში გაჭრილი ღიობებიდან მოჩანს.

რაც შეეხება XIV ს–ის მოხატულობაზე შავი კვადრატების მოცილებას, ეს სასურველია ხელოვნებადმცოდნესთან ერთად გადაწყდეს. თუ გადაწყდა კვადრატების მოცილება, მაშინ უმჯობესია იგივე მეთოდით გაიწმინდოს როგორც 2001 წელს, რადგან ამ კვადრატების მექანიკურად გაწმენდა ვერ მოგვცემ ისეთივე შედეგს და მოხატულობა ისეთივე, კვადრატებით აჭრელებული, დარჩება.

ძეგლზე სასურველი იქნება დაიდგას 2 (ზემო და ქვემო სართულზე) თერმოჰიდროგრაფი. ეს ისეთი შემთხვევაა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, შესაძლებელია სისტემატიური, მრავალწლიანი, დაკვირვების წარმოება, რაც საშური რამ არის, რადგან სისტემატიური დაკვირვება, ასევე ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება ვერცერთ ძეგლზე.

3. **წინასაპროექტო სამუშაოების წარმართვის მეთოდიკა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა.**

როგორც ავღნიშნეთ, ძეგლის ვიზუალურმა შესწავლამ ცხადყო, რომ მოხატულობაზე რაიმე სახის სერიოზული დაზიანებები 2001 წლის საკონსერვაციო სამუშაოების შემდეგ არ განვითარებულა და მხატვრობა საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. ჩვენი 4 დღიანი ექსპედიციის შედეგად გამოვლენილ ჩასატარებელ საკონსერვაციო სამუშაოებზე და

ზოგიერთი სამუშაოს აუცილებლობაზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა ძეგლის მნიშვნელობიდან გამომდინარე მაინც ურიგო არ იქნებოდა მოხატულობის უფრო დეტალური შესწავლა სხვადასხვა სპეციალისტების დახმარებით. მართალია მოხატულობაზე კატასტროფული მდგომარეობა ვიზუალურად არ შეინიშნება, მაგრამ დეტალური შესწავლით გარკვეული წვრილ–წვრილი დაზიანებები მაინც აღმოჩნდება. მოხატულობის დაზიანებებზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა:

- მოხატულობის ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა;
- დაზიანებათა ზუსტი იდენტიფიკაცია;
- დაზიანებათა ადგილმდებარეობის განსაზღვრა და გრაფიკულ სქემებზე დატანა;
- ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოების ჩამონათვალი და მათი მოცულობების განსაზღვრა;
- საარქივო მასალის შესწავლა და დღევანდელ მდგომარეობასთან შედარება;
- წინარე ჩარევების შესწავლა და მათი ზეგავლენის დადგენა დღევანდელ მდგომარეობაზე;
- წინასაპროექტო სამუშაოების განმავლობაში კედლებისა და ჰაერის ტენიანობის სისტემატიური გაზომვა.
- ინტერდისციპლინარული ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავება და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
- საკონსერვაციო მასალების ავთენტურ მასალასთან თავსებადი და თანამედროვე საერთაშორისო საკონსერვაციო გამოცდილების შესაბამისად შერჩევა.
- ფოტო დოკუმენტაცია;
- ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

არქიტექტორ–რესტავრატორი, კონსტრუქტორი:

წინასაპროექტო შეფასების ფარგლებში სასურველი იქნება არქიტექტორ–რესტავრატორის და კონსტრუქტორისა (ეკლესიის მინაშენს სავარაუდოდ პრობლემები აქვს და საჭიროებს შესწავლას).

- არქიტექტურის დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა;
- დღევანდელი მდგომარეობის შედარება საარქივო მასალასთან და ამგვარად არქიტექტურული ცვლილებების დაფიქსირება;
- საჭიროების შემთხვევაში არქიტექტურული სამუშაოების პროექტირება;
- დასკვნა ძეგლის კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში პროექტი მისი გამაგრებისათვის.

ხელოვნების ისტორიკოსი:

- რეკომენდაციები ძეგლის მხატვრულ–ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევების შესახებ.

ბიოლოგი, ქიმიკოსი:

სასურველია აგრეთვე ამ პროექტის ფარგლებში, მოხატულობის ბიოქიმიური შესწავლა და ამისათვის კვლევით სამუშაოებში ბიოლოგისა და ქიმიკოსის ჩართვა.

- ანალიზების აღება (ბაქტერია, სოკო, ბათქაში, საღებავი, მარილი) და ბიოლოგიური დაზიანების შემთხვევაში პრობლების აღმოფხვრისათვის საჭირო რეკომენდაციები.

მხატვარ–რესტავრატორი

დავით გაგოშიძე



1. ჩრდილოეთ კედელი.

2. დასავლეთ კედელი.

3. დასავლეთ კარი.

4. სამხრეთ კედელი

5. კანკელი

6. კონქი

7. ჩრდილოეთ კედელი



8. სამხრეთ კედელი

9. ჩრდილოეთ კედელი

10. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადები

11. ჩრდილოეთის ფასადის მოხატულობა

12. პირველი სართულის ზედა ფენის მოხატულობა. კონქი. მოჩანს ქვედა ფენის მხატვრობა

13. პირველი სართული. ზედა ფენის მხატვრობა. ჩრდილოეთ კედელი. მოჩანს ქვედა ფენის მხატვრობა

14. პირველი სართული. დასავლეთ კედელი. ზედა ფენის მხატვრობა და მოჩანს ქვედა ფენის მხატვრობა

15. პირველი სართული. სამხრეთის კედელი. ზედა ფენის მხატვრობა და მოჩანს ქვედა ფენის ანგელოზი

16. ქვედა ფენის მხატვრობა. სამხრეთ კედელი. წმ. გიორგის შარავანდედზე, მარცხენა მხარეს ოდნავაა ბათქაში შემტვრეული

17. პირველი ფენის მხატვრობის ფრაგმენტი. კონქი.

18. საერთო ხედი ჩრდილო–ამოსავლეთიდან

19. სამხრეთ–აღმოსავლეთის ხედი

20. დასავლეთ მინაშენის სამხრეთ ნაწილი

21. დასავლეთ მინაშენი, მეორე სართული

სამხრეთ ნაწილი

სამხრეთ კედელი

გადახურვის ფრაგმენტი

ჩრდილოეთი ნაწილი

სართულზე ასასვლელი კიბე

ჩრდილო–დასავლეთის კუთხე

22. დასავლეთის მინაშენი. პირველი სართული

საბჯენი თაღი ცენტრალურ ნაწილში

დაბზარული კედლები. სამხრეთ ნაწილი

ეკლესიაში სესასვლელი კარი

ჩრდილოეთის კედელი